პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის ჩიხების ნუმერაცია შეიცვალოს თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X=485790 Y=4614424
X=485778 Y=4614357
IV Bobo
X=485915 Y=4614313
სამანიანის ქ.
X=485690 Y=4614257
II Bobo
X=485681 Y=4614230
I Bobo
III Bobo
X=485895 Y=4614204
X=485729 Y=4614130

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი,
საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

KA011702853191323

15 / ივნისი / 2023 წ.

№ **125257**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ფიქრია კიკნაძის (პირადი ნომერი: 01025009534) 2023 წლის 08 ივნისის M23009938 განცხადებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ივნისის N194 განკარგულებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის I ქუჩას და მასთან არსებულ ორ ჩიხს რევაზ სირაძის სახელი მიენიჭა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N202 განკარგულების საფუძველზე, კრწანისის რაიონში, რევაზ სირაძის ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ ჩიხს საბატონოს სახელი ეწოდა. მოგახსენებთ, რომ ქუჩის სახელწოდების ცვლილების შემდეგ მასზედ არსებული ჩიხების ნუმერაცია შეიცვალა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით და ნუმერაციის სწორად განსაზღვრისთვის, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ რუკაზე მითითებული საბატონოს ქუჩის რომელი მხარე შეიძლება იქნეს მიჩნეული ქუჩის დასაწყისად. იმ შემთხვევაში, თუ ქუჩის დასაწყისი განისაზღვრება გია გულუას ქუჩის მხრიდან, გთხოვთ, იმსჯელოთ საბატონოს ქუჩაზე არსებული ჩიხების ნუმერაციის თანმიმდევრობის ცვლილების საჭიროებაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

გადაწყვეტილების ნომერი M23009938

მომზადების თარიღი 15.06.2023

485800